InterPressNews 19.08.2020

The second stage of water supply works is ongoing for 5 villages of Gardabani Municipality

The Municipal Development Fund of the Ministry of Regional Development and Infrastructure will complete the second phase of the rehabilitation of 5 rural water supply systems in Gardabani Municipality, which started in 2019 and will end in the fall of 2021.

As Interpressnews was informed from the ministry of regional development and infrastructure, the project is funded by the World Bank, with the amount of 15 mln GEL.

"The problem of water supply in the villages of Martkopi, Norio, Akhalsopeli, Vaziani and Akhali Samgori in Gardabani Municipality has existed for years. The United Water Supply Company of Georgia has finalized the first stage of works for water supply project, within which the pumping station and wells were arranged. The ongoing works of second stage contains arraignment of water intake drainage, main pipelines and the reservoirs.

Gardabani Municipality will carry out the network arrangement and preparation of project documentation, which is envisaged in the third stage of the project. After the completion of these works, Martkopi, Norio, Akhalsopeli, Vaziani and Akhali Samgori will be provided with 24-hour water supply. Rehabilitation of water supply system in Khashmi and Mughanlo villages is also planned at the next stage.

Source:

https://www.interpressnews.ge/ka/article/614317-qardabnis-municipalitetis-5-soplis-cqalmomaragebistvis-meore-etapis-samushaoebi-mimdinareobs

---

რეგიონი 19.08.2020 / 13:06

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 5 სოფლის წყალმომარაგებისთვის მეორე ეტაპის სამუშაოები მიმდინარეობს

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის 5 სოფლის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის მეორე ეტაპის სამუშაოებს, რომელიც 2019 წელს დაიწყო, 2021 წლის შემოდგომაზე დაასრულებს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან აცნობეს, პროექტს მსოფლიო ბანკი, 15 მილიონი ლარით აფინანსებს.

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფში, ნორიოში, ახალსოფელში, ვაზიანსა და ახალ სამგორში წყალმომარაგების პრობლემა წლებია არსებობს. წყალმომარაგების პროექტის პირველი ეტაპი, რომლის ფარგლებშიც მოეწყო სატუმბი სადგური და ჭაბურღილები, „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ დაასრულა. მეორე ეტაპის მიმდინარე სამუშაოები კი, მოიცავს წყალმიმღები დრენაჟის, მაგისტრალური მილსადენებისა და რეზერვუარების მოწყობას.

ქსელის მოწყობის, საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების სამუშაოებს, რომელსაც პროექტის მესამე ეტაპი ითვალისწინებს, გარდაბნის მუნიციპალიტეტი განახორციელებს. ამ სამუშაოების დასრულების შემდეგ, მარტყოფი, ნორიო, ახალსოფელი, ვაზიანი და ახალი სამგორი 24 საათიანი წყალმომარაგებით ექნება უზრუნველყოფილი. მომდევნო ეტაპზე დაგეგმილია სოფელ ხაშმისა და მუღანლოს წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციაც“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

გაზიარება 7

InterPressNews 21.08.2020

Arrangement of water and sewage systems for the new IDP settlement in Marneuli is being completed

The construction of water supply and sewerage infrastructure for the new IDP settlement in Marneuli, Ialguji settlement is in the final stage. As InterpressNews was informed by the United Water Supply Company, up to 1 million GEL was spent for the works with the funding of the Government of Georgia.

Within the project, water supply distribution and main systems were made for a 3 km section.

Also, a 3 km sewerage network was arranged. At this stage, the process of expertise of the performed works is underway, after which the water supply company will start operating the new network. In addition, water and sewage systems are being built in Marneuli, as well as a sewage treatment plant, the completion of which is planned for next year.

Source:

https://www.interpressnews.ge/ka/article/614672-marneulshi-devnilta-axali-dasaxlebistvis-cqlisa-da-cqalarinebis-sistemebis-mocqoba-sruldeba

საზოგადოება 21.08.2020 / 17:40

მარნეულში, დევნილთა ახალი დასახლებისთვის წყლისა და წყალარინების სისტემების მოწყობა სრულდება

მარნეულში, იალღუჯის დასახლებაში დევნილთა ახალი დასახლებისთვის წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის მშენებლობა დასრულების ეტაპზეა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიიდან აცნობეს, სამუშაოებს საქართველოს მთავრობის დაფინანსებით 1 მილიონ ლარამდე მოხმარდა.

მათი ინფორმაციით, პროექტის ფარგლებში გაკეთდა 3 კმ -იან მონაკვეთზე წყალმომარაგების გამანაწილებელი და მაგისტრალური სისტემები. ასევე, მოეწყო წყალარინების 3 კმ-დე ქსელი.

„ამ ეტაპზე, მიმდინარეობს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზის პროცესი, რის შემდეგაც წყალმომარაგების კომპანია ახალი ქსელის ექსპლუტაციაში გაშვებას დაიწყებს.

კომპანია რეგიონებში წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციას, მიმდინარე წელს გაწერილი გეგმის მიხედვით ახორციელებს.

გარდა ამისა, მარნეულში წყლისა და წყალარინების სისტემები, ასევე წყალარინების გამწმენდი ნაგებობა შენდება, რომლის დასრულება მომავალ წელს იგეგმება“,-აღნიშნულია ინფორმაციაში.

NS

გაზიარება

InterPressNews 21.08.2020

Dmanisi Municipality was hailed

There was hail in Dmanisi municipality.

As the mayor of Dmanisi, Giorgi Tatuashvili, toldInterpressNews, heavy hail was falling in 12 villages and towns of Dmanisi.

Agricultural land plots and orchards are damaged.

According to the mayor, the amount of damage caused by the disaster is still unknown and a special commission will start to study the situation.

Source: https://www.interpressnews.ge/ka/article/614709-dmanisis-municipaliteti-daisetqva

რეგიონი 21.08.2020 / 22:12

დმანისის მუნიციპალიტეტი დაისეტყვა

დმანისის მუნიციპალიტეტში სეტყვა იყო. როგორც „ინტერპრესნიუსთან" საუბარში დმანისის მუნიციპალიტეტის მერმა, გიორგი ტატუაშვილმა განაცხადა, ძლიერი სეტყვა 12 სოფელსა და ქალაქ დმანისში იყო.

დაზიანებულია სასოფლო - სამეურნეო სავარგულები და ხეხილის ბაღები.

მერის განმარტებით, სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის ოდენობა ჯერჯერობით უცნობია და სიტუაციის შესწავლას ხვალ დილიდან სპეციალური კომისია დაიწყებს.

გაზიარება 18

InterPressNews 22.08.2020

The flood created problems in Lagodekhi municipality

The disaster created problems in Lagodekhi municipality. Due to heavy rains, the first floors of houses on Zakatali, Kiziki and 300 Aragveli streets in Lagodekhi were flooded.

Land plots are also flooded.

Locals are asking the authorities for help. The local authorities say that all relevant divisions have been mobilized.

Source:

https://www.interpressnews.ge/ka/article/614752-stikiam-lagodexis-municipalitetshi-problemebi-shekmna

რეგიონი 22.08.2020 / 13:29

სტიქიამ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში პრობლემები შექმნა

სტიქიამ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში პრობლემები შექმნა. გადაუღებელი წვიმის შედეგად ლაგოდეხში ზაქათალის, ქიზიყის და 300 არაგველის ქუჩებზე საცხოვრებელი სახლების პირველი სართულები დაიტბორა. ასევე დატბორილია საკარმიდამო ნაკვეთები. ადგილობრივები ხელისუფლებას დახმარებას სთხოვენ.

ადგილობრივ ხელისუფლებაში კი აცხადებენ, რომ მობილიზებულია ყველა შესაბმისი სამსახური და ვითარებას ადგილზე ეცნობიან.

გაზიარება 0

InterPressNews 22.08.2020

Heavy rains damaged land plots and local roads in Sagarejo Municipality

As a result of heavy rain and hail in Kakheti last night, problems were created in the city of Sagarejo and in the villages of the municipality - Tokhliauri, Patardzeuli, Khashmi, Tskarostavi and Ninotsminda.

As InterpressNews was informed by the Sagarejo Municipality, the land plots and internal local roads were damaged. Several houses are flooded.

According to them, the Mayor of Sagarejo Municipality, Giorgi Erbotsonashvili is on site and is informed about the current situation.

Cleaning works are ongoing in the village of Tokhliauri, the so-called "Kiasaant" gorge, which was flooded due to heavy rainfall. Heavy equipment is mobilized on the spot and the work process is attended by the local government.

Source:

https://www.interpressnews.ge/ka/article/614761-uxvma-nalekma-sagarejos-municipalitetshi-sakarmidamo-nakvetebi-da-shida-saubno-gzebi-daaziana



რეგიონი 22.08.2020 / 14:40

უხვმა ნალექმა საგარეჯოს მუნიციპალიტეტში საკარმიდამო ნაკვეთები და შიდა საუბნო გზები დააზიანა

გასულ ღამეს, კახეთში მოსული უხვი ნალექისა და სეტყვის შედეგად, პრობლემები შეიქმნა ქალაქ საგარეჯოში და მუნიციპალიტეტის სოფლებში - თოხლიაურში, პატარძეულში, ხაშმში, წყაროსთავსა და ნინოწმინდაში.

როგორც "ინტერპრესნიუსს" საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიიდან აცნობეს, დაზიანდა საკარმიდამო ნაკვეთები და შიდა საუბნო გზები. დატბორილია რამდენიმე სახლი.

მათივე ინფორმაციით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი, გიორგი ერბოწონაშვილი ადგილზე იმყოფება და არსებულ ვითარებას ეცნობა. სოფელ თოხლიაურში, ე.წ "ყიასაანთ" ხევის გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს, რომელიც უხვი ნალექის შედეგად ადიდდა.

ადგილზე მობილიზებულია მძიმე ტექნიკა და სამუშაო პროცესს ადგილობრივი ხელისუფლების პირველი პირები ესწრებიან.

NS

გაზიარება 0

InterPressNews 23.08.2020

Heavy rains flooded the village of Kasritskali in Akhmeta Municipality

The village of Kasritskali in Akhmeta municipality was flooded. According to the locals, it is impossible to enter in the village and to move into the inner roads of the village.

According to locals, water flooded public school buildings and houses. Home furniture and household appliances are damaged.

Akhmeta City Hall says that equipment is being mobilized.

Source:

https://www.interpressnews.ge/ka/article/614810-zlieri-cvimis-shedegad-axmetis-municipalitetis-sopeli-kasricqali-daitbora

რეგიონი 23.08.2020 / 12:43

ძლიერი წვიმის შედეგად, ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელი კასრიწყალი დაიტბორა

ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელი კასრიწყალი დაიტბორა.

ადგილობრივების ინფორმაციით, სოფლამდე მისასვლელ და შიდასაუბნო გზებზე გადაადგილება შეუძლებელია.

ადგილობრივების ინფორმაციით, წყალი საჯარო სკოლის შენობასა და საცხოვრებელ სახლებში შევარდა. დაზიანებულია ავეჯი და საყოფაცხოვრებო ტექნიკა.

ახმეტის მერიაში აცხადებენ, რომ ტექნიკის მობილიზება ხდება.